პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 245 (9406)
24 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

ანატოლი სლივკოვი

ამბობენ, მწვრთნელი, როგორც სპეციალისტი და პიროვნება მანამ რჩება ჩრდილში, სანამ მისი აღსაზრდელები დიდ სპორტულ სარბიელზე არ გაიბრწყინებენო. სრული ჭეშმარიტებაა, მწვრთნელისა და შეგირდების შრომა გარკვეულ დრომდე შეუმჩნეველი რჩება. მაგრამ, არც ისაა გარანტირებული, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. დიდი სპორტისკენ მიმავალ გზაზე უამრავი სირთულეა, რომლის დაძლევის უნარი მხოლოდ რჩეულებს, შეუპოვარ, მტკიცე ნებისყოფის ადამიანებს შესწევთ.
ანატოლი სლივკოვი ასეთ მწვრთნელთა რიცხვს ეკუთვნის. სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე ამ მწვრთნელმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ რა შეუძლია თაჯდადებულ შრომას, პედაგოგიურ ალღოს, საქმისადმი ერთგულებას ზოგჯერ ურთულეს პირობებშიც კი.

* * *

დიახ, მწვრთნელისა და მათი აღსაზრდელების მიღწევა IX სპარტაკიადაზე მით უფრო დასაფასებელია, რომ ჩვენს აკრობატებს საკუთარი ნორმალური სპორტული დარბაზი არა აქვთ და ამის გამო სამ სხვადასხვა ადგილას („შრომით რეზერვებში“, ასკ-ში და აკრობატიკის სპეციალიზებულ სკოლაში) ვარჯიშობენ. უფროსი მწვრთნელისთვის ერთდროულად ყველგან ყოფნა ადვილი როდი იყო. ამას უფრო ის აძნელებდა, რომ მომავალ ჩემპიონებს ჯგუფურ ვარჯიშში (ვახტანგ ბოტკოველს, ოლეგ სლივკოვს, გია აღაპიშვილს, გოდერძი ახობაძეს) სწორედ ანატოლი ავარჯიშებდა. მას ტვირთს მხოლოდ ის უმსუბუქებდა, რომ ოთხეულს მეორე მწვრთნელი თამაზ ბუზიაშვილიც ჰყავდა. ასეთ პირობებში მომზადებულებმა მოიპოვეს ორი ოქროს, ერთი ბრინჯაოს მე-

იხ. მე-4 გვ.



დამთავრდა რესპუბლიკური „უნივერსიადა-86“-ის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ნინო ხუციშვილმა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

აქტუალური საკითხი

ოლიმპიური ბილეთი

ეს წინადადება ამ დღეებში საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე წამოაყენა ჩვენი სახელოვანი ხუთჭიდელის ვახტანგ იაგორაშვილის პირადმა მწვრთნელმა ივანე ლუცენკომ. „მოდით,— თქვა მან, — შემოვიღოთ „ოლიმპიური ბილეთი“. იგი მიეცემათ იმ სპორტსმენებს, რომლებიც ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში შედიან. ბილეთი სპორტსმენს უფლებას მისცემს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სპორტულ ბაზაზე ივარჯიშოს სპეციალურ თუ საერთო ფიზიკურ მომზადებაში“.

მწვრთნელის წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი კოლეგიის წევრებმა. სამწუხაროდ, რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენებს ყოველთვის როდი ჰქონდათ „მწვანე გზა“ სპორტულ ბაზებზე. არადა, ეს აუცილებელი იყო. არსებობს გამოთქმა: დიდ სპორტში ერთი დღის დანაკარგს ათ დღეში ვეღარ აანაზღაურებო. უდანაკარგოდ, ყოველგვარი შეფერხების გარეშე გეგმური წვრთნა კი ყოველთვის არ ხერხდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ ხდება, იმ ბაზაზე, სადაც სპორტსმენს ოფიციალურად აქვს მინიჭებული მეცადინეობის უფლება, ან ცხელი წყალი არ არის, ან განათება, ან გათბობა. ამ შემთხვევაში სპორტსმენს და მწვრთნელს ხომ უნდა შეეძლოთ სხვა ბაზაზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადანაცვლება? ყველამ კარგად იცის, რომ სპორტსმენისათვის ზოგჯერ სხვა სახეობაში „გადართვა“ აუცილებელია, მწვრთნელები ამას „ფსიქოლოგიური განტვირთვის“ ერთერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნევენ. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სხვა სახეობებში სახალისო ვარჯიში ამა თუ იმ სპორტსმენს სპეციალურ და საერთო ფიზიკურ მომზადებაშიც დიდად ეხმარება. ცხადია, ასეთი რეზერვი, თუნდაც იგი მინიმალური იყოს, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. სპორტული ბაზების ხელმძღვანელებმა კი, რაღა თქმა უნდა, ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ოლიმპიელებს, აუცილებლად უნდა გამონახონ საამისო შესაძლებლობები.

მაშ ასე, ამიერიდან რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენებს ხელთ ექნებათ „ოლიმპიური ბილეთი“— ნებისმიერ სპორტულ ბაზაზე, ნებისმიერ დროს მეცადინეობის უფლების სამუთი.

საქართველოს სპორტსახკომში

ძალოსნობა: სტატისტიკა და რეალობა

იყო დრო, ძალოსნობას იმ სახეობებთან ერთად მოიხსენიებდნენ, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. გავიხსენოთ: რაფაელ ჩიმიშკიანი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა 1952 წელს, დიტო შანიძე კი 1968 წელს მეორე იყო მეხიკოს ოლიმპიადაზე. მერე და მერე ტრადიციები თანდათან დავთმეთ და აგერ უკვე რამდენიმე წელია ჩვენს ძალოსნობას ძალიან უჭირს. რატომ? ამ კითხვაზე ერთი კონკრეტული პასუხი არ არსებობს. ამიტომ იყო, რომ სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ამომწურავად, კომპლექსურად იმსჯელეს ჩვენი ძალოსნობის ჩამორჩენის მიზეზებზე.

ამონაწერი კოლეგიის დადგენილებიდან: „რესპუბლიკაში ძალოსნობის ჩამორჩენა გამოიწვია იმან, რომ სპორტსახკომის სპორტის გამოყენებითი სახეობების განყოფილებაში (ზ. გვაჯავა), უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 2 რესპუბლიკურ სკოლაში, (თ. ლეკიშვილი), პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებაში, აგრეთვე „დინამოს“, განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, პროფტექგანათლებისა სისტემათა ორგანიზაციებში ჯეროვნად არ ზრუნავენ სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის და სერიოზულ ნაკლოვანებებს ურიგდებიან. სრულიად უმოქმედოდაა შესაბამისი რესპუბლიკური ფედერაცია. 1980 წლიდან მას არც ერთი სხდომა არ ჩაუტარებია. გადაუჭ-

იხ. მე-4 გვ.

კასპაროვის კიდევ ერთი გამარჯვება

ბრიუსელის საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა გაიანაღდა I ადგილი. ბოლოსწინა ტურში იგი შეხვდა ინგლისელ დიდოსტატს ნაიჯელ შორტს (კასპაროვმა I წრეში სწორედ ამ მოჭადრაკესთან განიცადა ჯერჯერობით ერთადერთი მარცხი ამ სუპერტურნირში), 33-ე სვლაზე დაამარცხა მეტოქე და 7 ქულით მიუწვდომელი აღმოჩნდა მდევრებისთვის.

სპორტული სეზონის ლაურეატები

საბჭოთა კავშირის მძლეოსნობის ფედერაციამ 1986 წლის საუკეთესო მძლეოსნად დაასახელა 36 წლის ლენინგრადელი მორბენალი მარინა სტეპანოვა, რომელმაც ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 400 მეტრზე თარჯრბენში.

გუშინ...

თბილისის სპორტის სახახლეში დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტური. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს: „დინამო“ (მოსკოვი) — რტი (მინსკი) 98:86 (58:52), „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) 84:72 (45:29).

ისევ შაბათს, ისევ ცირკში

გრძელდება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სპორტსახკომისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ერთობლივი ღონისძიება-შეჯიბრება ქართულ ჰიდაობაში რესპუბლიკის ქალაქების უბნებისა და სოფლების ნაკრებ გუნდებს შორის.
შაბათს, 27 დეკემბერს, კვლავ ახმიანდება თბილისის სახელმწიფო ცირკის სარბიელი. ამ დღეს არენაზე ერთმანეთს შეხვდებიან ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურისა და ძ. გორის გარეთუბნის, ქარელის რაიონის სოფელ ხვედურეთისა და დუშეთის რაიონის სოფელ მჯადიჯვრის რჩეული ფალავნები.
შეჯიბრება 12 საათზე დაიწყება.

დიდი მისია და ამოცანები



საქართველოს სპორტსახკომმა სპორტულ-მეთოდური სამმართველოს უფროსად დანიშნა **გივი ნადირაშვილი.**

გივი ნადირაშვილი დაიბადა 1929 წელს. 1951 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მწვრთნელად, თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში მასწავლებლად, ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის ფაკულტეტის უფროს მასწავლებლად. იყო ამავე ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტის დეკანი. 1978 წლიდან კი იქვე მუშაობდა პრორექტორად სპორტული მუშაობის დარგში.

● **როგორ ფიქრობთ, რა მიზანს უნდა ისახავდეს თქვენდამი რწმუნებული სამმართველო?**

— მიზანი ჩვენ ყველას ერთი გვაქვს, მოქმედების ასპარეზი კი საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი.

● **და მაინც უმთავრესად რა მიგაჩნიათ?**

— მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ბავშვთა სპორტში არსებული რეზერვი, ვინაიდან ეს სფერო, ჩემი ღრმა რწმენით, სპორტის საფუძველთა საფუძველია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ბავშვთა და მოზარდთა, აგრეთვე ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლების მუშაობას.

● **როგორი „მემკვიდრეობა“ მიიღეთ ამ თვალსაზრისით?**

იხ. მე-4 გვ.

„სრულ იქმნას სულითაც და ხორცითაც“!

ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ და ფიზიკური აღზრდის საკითხები

„საუკეთესო ფინდი რიგიანის ზნეობრივის განათლებისა ფიზიკურად ჯანსაღად აღზრდაა ყმაწვილისა“.

„ივერია“, 1899, № 277

დიდი ილია ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორობის პერიოდში (1863 წ.) გამოჩენილი გერმანელი პედაგოგის ზალცმანის პედაგოგიური თხზულების „კონრად კიფერის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ევროპიულ განათლებულ ხალხებსა აქვთ ვრცელი საპედაგოგიო ლიტერატურა და მათში გამოდის ბევრი ჟურნალები, სადაც მხოლოდ ის კითხვები განიხილებიან, რომელნიც აღზრდას შეეხებიან; ჩვენში სულ არაფერი არის ამაზედ დაწერილი“. მართლაც, სპეციალური ლიტერატურა მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებზე მაშინ სანთლით საძებარი იყო, მდგომარეობის შეძლებისდაგვარად გამოსწორების მიზნით ერის სულიერმა მამამ ასეთ ხერხს მიმართა: გაზეთ „დროებაში“, ჟურნალ „ივერიასა“ და, განსაკუთრებით კი გაზეთ „ივერიაში“ (1886-1906 წწ.) ხშირად ბეჭდავენ წერილებს მოზარდი თაობის აღზრდაში და ფიზიკურ აღზრდაში არსებული პრობლემების შესახებ. გაზეთ „ივერიაში“ იმდენად მრავალფეროვნად შუქდებოდა ფიზიკური აღზრდის საკითხები, რომ იგი, შეიძლება ითქვას, ფიზიკური კულტურითა და სპორტით დაინტერესებულ პირთათვის ერთგვარ დამხმარე სახელმძღვანელოდ იქცა.

აშუქებდა რა აღზრდის მეზნის არსს „ივერია“ ერთ-ერთ სარედაქციო წერილში მკითხველს ამცნობდა, რომ სწავლების სწორად წარმართვაზე „დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავალი თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალის თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მისი ხელით იქმნება“ (1889, № 275). ბუნებრივია, ამ დიდი მიზანს უნდა დაქვემდებარებოდა ფიზიკური აღზრდის მიზანიც.

საინტერესოა, რომ მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზებისა და საშუალებების ძიებისას ილიას „ივერია“ ხშირად მიმართავდა რუს და უცხოელ სწავლულებს და მათ აზრს ზემოხსენებულ საკითხზე ერთგვარ საპროგრამო მითითებადაც იყენებდა. გაზეთმა პირველ ყოვლისა მიმართა ისეთ დიდ ავტორიტეტს, როგორიც იყო რუსეთში ფიზიკური განათლების სისტემის ფუძემდებელი პეტრე ფრანცის ძე ლესგაფტი. გაზეთს შეუნიშნავი არ დარჩენია ლესგაფტის თეორიული თუ პრაქტიკული მოღვაწეობის ბევრი მხარე. 1889 წლის 18 ოქტომბერს (№ 143) მოწინავე წერილში აღწერილია პეტერბურგში ჩატარებული ერთი კრების მსვლელობა. კრება, რომელსაც ლესგაფტი უძღვებოდა, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პრობლემებს მიეძღვნა. მაგრამ ვიდრე თვით ლესგაფტის თავმჯდომარეობით გამართული კრების მასალებს გააშუქებდეს, გაზეთი წერს საქართველოს სკოლებში არსებულ მდგომარეობაზე „ეხლანდელს სასწავლებლებში მეტად უყურადღებოდ დაგდებულია ჯანისა და აგებულობის ვარჯიშობა და წვრთნა. ეხლანდელ სკოლებში თითქმის მთელი დრო მოზარდისა გონების გაჯსნასა და ცოდნის შეძენას უნდება, ტანი, აგებულება, ჯანმრთელობა კი რჩება შემთხვევის ანაბარად, მოუვლელად და განუვითარებლად. თითქოს დავიწყებულიაო, რომ ადამიანის სისრულე სულ-ხორცის თანაბარ სისრულეზეა დამყარებული, რომ ხორცსაც, ესე იგი ჯანსა და აგებულებას მოზარდისას იმდენივე მოვლა, პატრონობა, წვრთნა და ხელის შეწყობა უნდა, რამდენადაც სულსა, ესე იგი, ჭკუაგონებას, რომ მოზარდი საბოლოოდ რაც შეიძლება სრულ იქმნას სულითაც და ხორცითაც“.

კრებას, როგორც გაზეთი გვამცნობს, ორი საკითხი გაურჩევია: პირველი „საჭიროა თუ არა საშუალ-განათლების სკოლებში, ეგრეთწოდებული, „ჯან-აგებულების წვრთნა“ და მეორე: „რამდენი დროა უნდა დაიდვას კლასებში სწავლებისათვის და რამდენი კლას გარეთისათვის“.

გაზეთი შენიშნავს, რომ ორივე საკითხი დადებითად გადაწყდა პირველ რიგში იმის წყალობით, რომ კრების დასაწყისშივე „კრების თავმჯდომარეს პროფესორს ლესგაფტს წარმოუთქვამს პირველი სიტყვა და გამოუჩენია — რაში უნდა მდგომარეობდეს ჯანაგებულების წვრთნა და რა მეტოდი და ღონე უნდა იხმაროს სკოლამ წვრთნისათვის“.

„ივერიას“, მის თანამშრომლებს პირველ რიგში რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს მტკიცედ სწამთ, რომ ფიზიკური აღზრდა საერთო ჰარმონიული აღზრდის შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, რომ დამღუპველია რომელიმეზე განსაკუთრებული უურადღების გამახვილება, აღზრდის სხვა მხარეების მივიწყება-გაუფასურების ხარჯზე. „მუდამ სწავლა და სწავლა, — ვკითხულობთ 1888 წლის 26 ნოემბრის შეთაური წერილში, — ისიც გრამატიკისა, ხომ წამებაა... ზოგს ხურგის ხერხემალი აქვს გამრუდებული, ზოგს სუსტი და უშნო სხეულის აგებულება აქვს, ასე რომ, სიგრძე და სიგანე მკერდისა არ ეთანხმება მთელს აგებულებას; ზოგს კუჭი აქვს გაფუჭებული, ზოგს ყაბზობა სჭირს, ზოგს რა და ზოგს რა“.

მაგრამ „ივერიას“ არც ისეთი მდგომარეობა მოსწონს, როცა ჯანმრთელობაზე ფიქრი, ფიზიკური ვარჯიშობებით გატაცება ყმაწვილის მთელ დროს შთანთქავს და გონებრივი განვითარება უკანა პლანზე იწევს, ასე მაგალითად, 1882 წლის 27 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა „პაატას“ (მიხეილ ნასიძის) წერილი, რომელშიც აღწერილია დღის რეჟიმი ზოგიერთი ახალგაზრდისა, რომლის ცხოვრების „სპეციალური საგანი არის ტრფიალობა — არშიყობა ქალებისა, ბრძოლა შუაღამედის მას ველსა ზედა, ნადირობა და... მეტიც, ვგონებ, არაფერი“. თავისთავად ცხადია, არაფერი ცუდი იმაში არ არის, თუ ახალგაზრდა ივარჯიშებს, ინადირებს, სათანადო ასაკს მიწეულს ტრფობაც აუძგერებს გულს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ფიზიკური ვარჯიშობებით ცალმხრივ გატაცებას, რის გამოც „ხელში გრჩებათ, საუკეთესო შვილის მაგიერ, ფუქსავატი და ჩიტირეკია ახალგაზრდა, რომელიც თავის სიცოცხლით სავსე სეჭაბუკეს ქალაღლის თამაშობასა და ნადირობაში ატარებს“.

„ივერიაში“ გაანალიზებულია უცხოეთის ფიზკულტურული მოძრაობის პრაქტიკაში არსებული „გადახრებიც“. მაგალითად, გაზეთი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს ინგლისის სასკოლო ცხოვრებაში დამკვიდრებულ სპორტის მაღალ ღონეს, მაგრამ იქვეა ასეთი შენიშვნაც: „მართალია, რომ საღი გონება საღს სხეულს ეკუთვნის, მაგრამ ინგლისელებმა ძლიერ გადაამეტეს ზრუნვას სხეულის განვითარებისა და ჯანმრთელობისათვის. ბევრი მშობელი მთელს უურადღებას ამ ჯან-საღობას აქცევს და გონების განვითარებისათვის კი ძლიერ ნაკლებადა ჰზრუნავენ“.

გაზეთი შეახსენებს მკითხველს, რომ გონებრივი და ფიზიკური აღზრდა მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან, და ეს კავშირი პირველ რიგში იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ ერთმა დადებითად იმოქმედოს მეორეზე. ფიზიკური აღზრდა საუკეთესო ნიადაგს ამზადებს ბავშვის ზნეობრივი და ინტელექტუალური აღზრდისათვის. ამ დებულების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად „ივერიაში“ მრავალი არგუმენტია მოტანილი. გაზეთს სწამს, რომ დღის რეჟიმში ფიზიკური ვარჯიშობების გეგმაზომიერი ჩართვა ახალგაზრდას იცავს ზნეობის შემრყვნელი ბევრი მოვლენისგან. შემთხვევითი არ იყო, რომ „ივერია“ დაუღალავად იბრძოდა სპორტის ეროვნული სახეობების „ძველებური დროს გასატარებელ თამაშობათა“ აღსადგენად. გაზეთი მიუთითებდა (1894, № 89), რომ ეს გარდა იმისა, „რომ ააშორებს უქმ დღეზე ხალხს ლოთობასა და უგზო-უკვლოდ ხეტიალს, შემთხვევასაც მისცემს თითოეულს გამოიჩინონ თავისი ძალ-ღონე, სიმარჯვე და ისეთი ფიზიკური ღირსებანი, რომელთაც ფასი არასოდეს არ დაეკარგებათ“.

ამავე დროს გაზეთი მკითხველს აფრთხილებდა, რომ მოზარდი თაობის ზნეობაზე ყველა თამაშობა და ვარჯიში როდი ახდენს სასურველ ზემოქმედებას. ამის ნიმუშად გამოგვადგებოდა ნადიკვრელის (მ. ზარაფიშვილის) ვრცელი ფელეტონი — „პროვინციელის სახუქარი და სათხოვარი“ (1894, № 53). ადამიანმა, — განმარტავს ავტორი, — მრავალი თამაშობა და გასართობი შექმნა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი „ადამიანს ზნეობით რყვნის, გრძნობას და გონებას უჩლუნგებს და ხორცს უუძლურებს ზოგი კი ადამიანს ზნეობრივად აფაქიზებს, გრძნობას და გონებას უმაღლებს და უმაგრებს“. ავტორი იძლევა რჩევას იმის თაობაზე, რომ სპეციალურად მოწყობილ მოედანზე ჩვეულებრივ დღეს ბავშვებმა ივარჯიშონ 2 საათს, კვირა დღეს კი — 6 საათს. „არ გეგონოთ, რომ მარტო თამაშობით გართობას ვურჩევთ ვისმე,— ასკვნის ი. ზარაფიშვილი, — მაგრამ ამასთან ღრმად დაჯერებული კი ვარ, რომ რამდენსაც კარგად მოწყობილ თამაშობას მეტს თავისუფალ დროს მოვანდომებთ, იმდენად ჩვენი მუდმივი საქმე გაგვიადვილდება, იმდენად გონება და გრძნობა მოშორებული იქნება უკულმართობას და ურიგობას“.

ფიზიკური აღზრდის საშუალებათა შორის „ივერია“ განსაკუთრებულ რეკომენდაციას აძლევს ტანვარჯიშს („კარგი იქნება ქალაქმა გამართოს სავარჯიშო, საგმნასტიკო მოედანი და მოწყობილობა ყმაწვილთათვის. ამ საქმის მოწყობა ძნელი არ არის და არც ბევრი ფული დასჭირდება“ (1889, № 143, და სხვა), ბურთაობას („ბურთაობა ნამდვილი ომია, სადაც კარგი მოფიქრებაც საჭიროა და რაზმის თავ-თავის დროზე მოშველიებაც გამარჯვების მოსაპოვებლად“. 1894, № 85), ბავშვთათვის მეტად სასარგებლო მოძრავ თამაშებს (აღსანიშნავია, რომ „ივერია“ ხშირად ბეჭდავდა მოძრავი თამაშების, განსაკუთრებით ბესარიონ ნიჟარაძისა და თეოფილე ხუსკივაძის მიერ ხალხში ჩაწერილ თამაშების წესებს), ტურიზმს (ბავშვი რაც უფრო მეტს ნახავს, გაიგონებს, იმოძრავებს, მით უფრო განვითარდება და, მაშასადამე, სახელმწიფოსათვის მით უფრო სასარგებლო კაცი დადგება“. 1898, № 155). გაზეთი გვირჩევს, რომ სასარგებლოა ჰიგიენის დაცვა და სამყაროს ბუნებრივი ძალების გეგმაზომიერი გამოყენება („ვინც ბუნებით კარგად სარგებლობს და სხეულს ყოველთვის ავარჯიშებს დაავთარებს, ის ხანგრძლივად ცოცხლობს, და ამიტომ ბერძენთა ფილოსოფოსები და ექიმები ყველას იმას ურჩევდნენ, რომ ზომიერი ცხოვრება იქონიეთ, წმინდა ჰაერით ისარგებლეთ, ცივ წყალში იბანავეთ და ტანი დაიზილეთ ხოლმე“. 1889, № 276). სასარგებლოა ველოსიპედიც იმათთვის, ვისაც ნაკლები მოძრაობა აქვს და ვინც მუდამ კანცელარიაში ზის“ (1900, № 79).

კიდევ ერთი საინტერესო დეტალის შესახებ. დიდი ილია გრძნობდა, რომ სპორტი უკვე ანგარიშგასაწევ ფენომენად იქცა. მან იცოდა, რომ მკითხველს უნდა მიეღო საჭირო მასალები არა მარტო ფიზიკური აღზრდის მიზნის, საშუალებების, მეთოდების შესახებ, არამედ უნდა გაცნობოდა მსოფლიოს სპორტულ ცხოვრებას, უნდა გაეგო მსოფლიოს სპორტსმენთა წარმატებების შესახებ. და ილიას გაზეთი იქცა სპორტული ცხოვრების შესანიშნავ ინფორმატორად. „ივერიაში“ ხშირად იბეჭდებოდა წერილები ჭიდაობაზე, საცხენოსნო სპორტზე, ლელობურთზე, საინტერესო სპორტულ ღონისძიებებზე. ცხადია, არც ჩვენი სპორტსმენების საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლები რჩებოდათ უყურადღებოდ, მაგალითად, ნიმუშად მოვიტანთ ცნობას ქართველთა მაერ საზღვარგარეთ გამართული ერთ-ერთი ტურნეს შესახებ. 1892 წლის 12 ივნისს „ივერიაში“ დაიბეჭდა პირველი ცნობა, რომ „ლონდონში ვიღაც ქართველი ცხენოსნები და მოჯირითენი არიან, რომელნიც თავიანთ ჯირითითა და სიმღერა თამაშობით ართობენ გულ-ჩახვეულ და შუბლშეკრულ ძეთ ცა-მოშავებულ ალბიონისასო... ნეტა ვინ უნდა იყვნენ ეს ქართველნი ლონდონში?“ — კითხულობს გაზეთი და 16 ივნისს აქვეყნებს საქმის ვითარებაში ჩახედული ერთ-ერთი მკითხველის წერილს: „რადგან თქვენი გაზეთი სცდილობს, ყოველ მხარეში ადევნოს თვალ-ყური ქართველებს, ამისათვის მეც საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ ვინაობა ლონდონში გამგზავრებულ ექვსის თვის ვაჟით ქართველებისა. ესენი არიან გურულები, სოფელ ჩიბათს და ლანჩხუთში მცხოვრენნი, სხვადასხვა წოდებისა, მომეტებულად აზნაურები. იქნება კიდევაც გაგიკვირდეთ, სად ჩიბათ-ლანჩხუთელები და სად ლონდონიო, მაგრამ არაფერი გასაკვირველი არ არის“. ერთი თვის თავზე „ივერია“ უკვე პერსონალურად აცნობს მკითხველს უცხოეთში მყოფ ქართველებს. აი, ეს ცნობაც: „ბათუმი. აი, გვარი იმ ქართველებისა, რომელნიც ამას წინათ წაიყვანა აქედან ერთმა პარიეის თეატრის აგენტმა ლონდონში ბარონუმის ცირკისათვის: ივანე მახარაძე, დიმიტრი მგალობლიშვილი, ვასო ჭყონია, დათა ჭყონია, ლეონტი ჯორბენაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, მოსე გიგინეიშვილი, ირაკლი ჭყონია, ბესარიონ ცინცაძე და მელიტონ ცინცაძე. სულ ათი კაცი“ (1892, № 127).

ფიზიკური აღზრდის პრობლემების სისტემატური გაშუქებით გაზეთ „ივერიას“ თავისი ღირსეული წვლილი შეეჭონდა საქართველოში ფიზიკური აღზრდის იდეების დამკვიდრებაში და ამავე დროს ეხმარებოდა სკოლებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პრაქტიკული პრობლემების გააზრებაში.

ავთანდილ ციბაძე,
პროფესორი.

ენთუზიასტებს მჯარდაჭერა ეჭირებოდა

როგორც კი მზე დასავლეთისაკენ გადაიხრება, ხობში, ნონეშვილის ქუჩაზე მდებარე პატარა მოედანს ბავშვების ყივილ-ხივილი აეოცხლებს. მოედანზე ჯერ უმცროსკლასელები თამაშობენ ბურთს, მათ მოზარდები ცვლიან, უფროვგვიან სათამაშოდ ჭარმაგებიც გამოდიან. ასეა ყოველ დღე, წლის ყოველ დროს, როცა ამინდი არ ჭარბეეულობს. ქალაქში გაშენებული სპორტული კომპლექსის გვერდით ასეთი მოედანი თითქოს რა სახსენებელია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მოედანი არა მარტო ამ ქუჩის, არამედ მთელი ამ უბნის მკვიდრთა თავშეყრის საყვარელი ადგილია.

ადრე აქ ჭაობი ყოფილა, მაგრამ ამ ათი წლის წინ ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულ მურმან ხურციას იქაურობა სამოედნო ადგილად შეურჩევია და ახალგაზრდები დაუარაზმია. როგორც ყოველთვის, მათ მოწინააღმდეგენი გასჩენიათ. ვიღაცას სახლის აშენება მოუნდომებია, ქალაქის მაშინდელ ხელმძღვანელობას — ადმინისტრაციული სახლის აგება... მაგრამ ახალგაზრდებმა ეს ადგილი არავის დაუთმეს და საქმის კეთებას მეტი ენერგიით შეუდგნენ. მოზიდეს მიწა და ჭაობი ამოაშრეს, მოაწყვეს დრენაჟორები. მერე მარადმწვანე ხეებიც დარგეს. ენთუზიასტებს ბევრმა დაუჭირა მხარი — ზოგმა სატვირთო ავტომანქანა ათხოვა, ზოგმა ღამის განათება მოუწყო, ზოგმა ძელები და ბადე მოიტანა. ასე გაიმართა პატარა მოედანი, რომელზეც კალათბურთის თამაშიც შეიძლება.

ეს პატარა მოედანი ახალგაზრდობის საყვარელ შესაკრებ ადგილად იქცა, — გვეუბნება ხობის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ა. სანიკიძე — მ. ხურციას ხელმძღვანელობით აქ საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს. იგი ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ავარჯიშებს ბავშვებს, ატარებს შეჯიბრებებს ქუჩებსა და უბნებს შორის. აქ ადგეს ფეხი და დიდ სპორტს ეზიარნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ბადრი ჩიტია და გელა ხურცია, ლანჩხუთის „გურიას“ წევრი ენუქი თევზაძე, როსტოვის „როსტსელმაშის“ ფეხბურთელი ბადრი ბუკია, რაიონის ფეხბურთელთა გუნდის წევრები ნუგზარ სერგია, ედიშერ ნაროუშვილი და სხვები.

მურმანი მოუსვენარი კაცია. თავისუფალ დროს ახალგაზრდებთან ატარებს. ახლა ენთუზიასტები ამირჩევენ მოედანს ჩოგბურთის კორტები მიუმატონ და იქვე სკვერიც გააშენონ. ასე რომ, ეს ადგილი სულ მალე ხობელთა დასვენებისა და გართობის ნამდვილ კერად იქცევა.

„ლელოს“ კორ.

შეჯიბრება ორ ეტაპად

100-უჯრედიან შაშში ვაჟთა შორის თბილისის პირველობის პრიზიორთა ვინაობა მხოლოდ ბოლო ტურში გაირკვა, როდესაც იური სპესივცევმა დაამარცხა თამაზ ქეთიშვილი და 7,5 ქულით (9-დან) დედაქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა თენგიზ რეხვიაშვილი. 6 ქულით III ადგილზე გავიდა თამაზ ქეთიშვილი (მანვე შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმა).

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ასპარეზობაში თავი ისახელეს ნორჩმა მოშაშეებმა როლანდ გავრილოვმა, ზურაბ კოდუამ და გიორგი დრიაევმა (სამივემ ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა).

შეჯიბრება ორ ეტაპად ჩატარდა — ჯერ შვეიცარიული, შემდეგ კი წრიული სისტემით (10 საუკეთესო).

როლანდ ჟერდიყოშვილი,
სპორტის ოსტატი.

იქნებ რუსთავშიც...

რუსთავში, საცხოვრებელი კორპუსების ეზოებში სპორტული მოედნები ეწყობა. ოცდამეეთოე მიკრორაიონის მიდამოები წინათ ცარიელი და ხრიოკი იყო, დღეს კი აქაურობა სულ სხვანაირად გამოიყურება. კალათბურთის, ფეხბურთისა და ბავშვთა მოედნებიდან გვიან საღამომდე ნორჩების შეძახილები ისმის.

ახლახან ქალაქის სამრეწველო-წაწარმოთა დახმარებითა და ხელშეწყობით ხსენებულ მოედნებს ჩოგბურთელთა სარბიელიც მიემატა, ოთხი კორტი და ორი სავარჯიშო მოედანი „სპარტაკს“ გადაეცა და ახალი წლიდან აქ სპეციალიზებული სკოლა გაიხსნება. აქვე ჩამოყალიბდება საბაბონეტენტო ჯგუფებიც, რომლებშიც ჩოგბურთის მოყვარულები გაერთიანდებიან. ჯერ ჯერობით ჯგუფს საზოგადოებრივ საწყისებზე ზაურ ყალიჩავა ამეცადინებს.

ვინ იცის, იქნებ რუსთავშიც აღიზარდონ სახელოვანი ჩოგბურთელები.

ზურაბ ჩაჩავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუკ მოკრივეთა V საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ პრიზზე

გამარჯვებული და პრიზიორები



ჯამგულად ყუფარაძე

დაიბადა 1969 წელს ქუთაისში. წონა 75 კგ. სიმაღლე 182 სმ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1980 წელს განათლების განყოფილების ოლიმპიური რეზერვის სკოლაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ვალერი ბურჯანაძისა და გია კუბიანიძის ხელმძღვანელობით. ამჟამად იმავე მწვრთნელებთან ვარჯიშობს „ბურევესტნიკის“ ოლიმპიური რეზერვის სპორტულ სკოლაში.
სპორტის ოსტატი.
„მეგობრობა-86“-ის ჭაბუკთა ტურნირის III პრიზიორი (უნგრეთი).
გაიმარჯვა სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობაში (1986 წ.), თბილისის IV და V საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.



ნიკოლოზ ჯაჭვაძე

დაიბადა 1969 წელს თბილისში. წონა 60 კგ. სიმაღლე 172 სმ. ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1981 წელს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის როლანდ კვაჭაძისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის დავით კვაჭაძის ხელმძღვანელობით.
განათლების სამინისტროს კრივის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელი, „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი.
სპორტის ოსტატობის კანდიდატი.
„ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირველობის ორგზის გამარჯვებული, რესპუბლიკის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის.
თბილისის V საერთაშორისო ტურნირის II პრიზიორი.



არტურ სალატელიანი

დაიბადა 1970 წელს თბილისში. წონა 75 კგ, სიმაღლე 177 სმ. სწავლობს თბილისის № 71 პროფტექნიკურ სასწავლებელში.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1982 წელს სპორტის ოსტატ სოსო წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით. ახლა ავარჯიშებენ წინამძღვრიშვილი და სპორტის ოსტატი გიორგი შახსუვარიანი.
„ბურევესტნიკის“ წევრი.
სპორტის ოსტატობის კანდიდატი.
„ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის (1986 წ.).
თბილისის V საერთაშორისო ტურნირის II პრიზიორი.



არჩილ ბიბილური

დაიბადა 1969 წელს თბილისში. წონა 92 კგ. სიმაღლე 184 სმ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1982 წელს „შრომით რეზერვებში“ სპორტის ოსტატ თამაზ კუჭავას ხელმძღვანელობით. ამჟამად ავარჯიშებენ კუჭავა და ამირან გიორგაძე.
„ბურევესტნიკის“ წევრი.
სპორტის ოსტატობის კანდიდატი.
საკავშირო ტურნირში გამარჯვებული.
„ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის.
საქართველოს სამგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის.
თბილისის V საერთაშორისო ტურნირის II პრიზიორი.

ლევან შარიქაძე

დაიბადა 1970 წელს ქუთაისში. წონა 90 კგ. სიმაღლე 187 სმ. ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1982 წელს სპორტის ოსტატის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ჯუმბერ კვანტალიანის ხელმძღვანელობით.
სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“.
პირველთანრიგოსანი.
საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ორგზის ჩემპიონი, საკავშირო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი.
თბილისის V საერთაშორისო ტურნირის III პრიზიორი.

ტურნირის ექო

არა მარტო თბილისში...

კრივი სულ უფრო პოპულარული ხდება ჩვენს რესპუბლიკაში. გულმოდგინედ ვარჯიშობენ სპორტსკოლების კრივის სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდები.

ახლახან საქართველოს განათლების სამინისტროს ინიციატივით ცხაკაიაში მოეწყო რესპუბლიკის მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობა კრივში. 1971-72 წლებში დაბადებულ მოზარდთა ამ ერთგვარ დათვალიერებაზე ბევრი ჭაბუკი სპორტსმენი გამოვიდა — შეჯიბრებაში 25 ქალაქისა და რაიონის 200-ზე მეტმა მოკრივემ მიიღო მონაწილეობა.

— რესპუბლიკური შეჯიბრების მოწყობა ცხაკაიაში იმიტომ განვიზრახეთ, — გვითხრა განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სკოლის დირექტორმა რევაზ მეგრელიშვილმა, — რომ ენთუზიასტი მწვრთნელის თამაზ ვახანიას ხელმძღვანელობით აქაურმა ნორჩმა მოკრივეებმა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება მიიპყრეს. სხვათა შორის, ასეთი „ხალხმრავალი“ შეჯიბრება დღემდე არ ჩაგვიტარებია. შეჯიბრებამ ბევრი ნაკლი გამოააშკარავა, მაგრამ გვახარებს ის, რომ ასეთ ასპარეზობაში პირველად მონაწილეობდნენ ხობელი, ცაგერელი, თეთრიწყაროელი, გარდაბანელი, გურჯაანელი, თელაველი, სიღნაღელი მოსწავლეები, რომელთა შორის ბევრი პერსპექტიული მოზარდია. დამამახსოვრდა ხობელი ქორრიას, თელაველი ბუჭკურაშვილის, ვანელი ვაშაყმაძის, თეთრიწყაროელი ანანოურის, გურჯაანელი თადიაშვილის ბრძოლები. მართალია, ყველა საპრიზო ადგილზე არ გასულა, მაგრამ, ვფიქრობ, მომავალში ისინი უსათუოდ მიაღწევენ წარმატებებს. გაუგებარი მიზეზების გამო ასეთ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ახალციხელ და წულუკიძელ ნორჩ მოკრივეებს. მინდა მადლობა გადავუხადო ცხაკაიის პარტიულ, საბჭოთა, კოსკავშირულ მუშაკებს, № 131 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორს, ადგილობრივი სპორტკომიტეტის თანამშრომლებს, რომლებმაც ყველა პირობა შეგვიქმნეს იმისათვის, რომ შეჯიბრება ორგანიზებულად ჩაგვეტარებინა.

მოსწავლეთა რესპუბლიკურმა ასპარეზობამ გვიჩვენა, რომ ბევრი მწვრთნელი ზერელედ ეკიდება თავის საქმეს, მთელი დატვირთვით არ მუშაობს ახალგაზრდა მოკრივეებთან, ცდილობს მისმა აღზრდილმა საპრიზო ადგილი მოიპოვოს მაშინ, როცა ნორჩისთვის კრივის ელემენტარული წესებიც ვერ უსწავლებია. ბევრი არ უფრთხილდება მოზარდის ფსიქიკას და ქანცისგაწყვეტამდე არ გამოჰყავს იგი რინგიდან, ბევრსაც საჭირო ავტორიტეტი არა აქვს, აკლია პროფესიონალიზმი, არ შეუძლია ბავშვებთან მუშაობა.

ყველამ იცის, რომ რესპუბლიკაში თითო-ოროლა პროფესიონალი მწვრთნელი გვყავს და ბავშვებთან უფრო მეტად ენთუზიასტები მუშაობენ. მათ დასახელოვნებლად სისტემატურად უნდა ეწყობოდეს კურსები და მსგავსი სახის შეჯიბრებები არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც.

ახლა გაგაცნობთ ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა ვინაობას წონითი კატეგორიების მიხედვით: დ. კოკაია (აფხაზეთი), ა. გეგორქიანი (თბილისი), ა. აშუბა (აფხაზეთი), ი. გიგინეიშვილი (ფოთი), ე. დანილოვი (თბილისი), ე. აფსარიძე (ფოთი), ა. ქაჩიბაია (ცხაკაია), ი. ომსარაშვილი, ლ. ჯალანდაძე, დ. წიკლაური (სამივე — თბილისი), კ. ავეტისოვი (ჭიათურა), მ. კაკიაშვილი (თბილისი), პ. მოსელიანი, ბ. გოშაძე (ორივე — ქუთაისი), ს. მარქარიანი, ბ. ბუდრიანაცი (ორივე — თბილისი).

ნუგზარ ევანია,
„ლელოს“ ზონალური კორესპონდენტი.

...როგორც ჩვენთან, კუბაში

ბევრი სტუმარი ჰყავდა ამ დღეებში სპორტის სასახლეს. უკვე მეხუთე წელია, რაც ჭაბუკ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი თბილისში ტარდება. წელს ჩვენმა დედაქალაქმა ხუთი ქვეყნიდან (კუბა, ბულგარეთი, რუმინეთი, ფინეთი, პოლონეთი) ჩამოსულ სტუმრებს უმასპინძლა. რინგზე ისევ ვიხილეთ შარშანდელი პრიზიორები: ედი სუარესი, ხუან ერნანდესი (კუბა), ბორის ბორისოვი, კირხო კირკოროვი, ბლაგოი სოკოლოვი (ბულგარეთი), იურკი თანკჯაია ვიერელია (ფინეთი). ტურნირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ თბილისში ყველა პირობაა შექმნილი შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად, რაც მთავარია, აქ არის ობიექტური მაყურებელი.

...რინგზე საბჭოთა და უცხოელი მოკრივეები გამოდიან. დარბაზში ჟიური ზის, მაყურებლები კი საინტერესო ორთაბრძოლის მოლოდინში არიან. ყველაზე მეტი გულშემატკივარი ქართველ მოკრივეებს ჰყავთ, მაგრამ მაყურებლები კუბელების რინგზე გამოსვლასაც აღფრთოვანებით ხვდებიან.

— ამ ტურნირში მონაწილეობა უდავოდ საპატიოა, — თქვა კუბის ნაკრების მწვრთნელმა პედრო როკემ. — ტურნირს მესამედ ვესწრები, ასე რომ, თბილისი ჩემთვის უცხო ქალაქი არ არის. თუ დამიჯერებთ, აქ უფრო ბევრი მეგობარი მყავს, ვიდრე კუბის რომელიმე პროვინციაში. ტურნირი კარგად არის ორგანიზებული. იგი საშუალებას გვაძლევს განვეჭვრიტოთ კრივის ხვალინდელი დღეცხადია, რომ ეს შეჯიბრებები ბიჭებს გამოცდილებას სძენს, საშუალებას აძლევს შეამოწმონ საკუთარი ძალა.

...რინგზეა ხორხე ფერმინ როდრიგესი. გონგს ჰკრეს და ბრძოლაც დაიწყო. ზუსტი დარტყმები, სწრაფი რეაქცია, დახვეწილი მოძრაობები. ზოგჯერ მწვრთნელი მსაჯისგან მალულად თუ მისცემს შენიშვნას ან „გაამხნევებს... და აი, გაღიმებული მაღლა სწევს მუშტს და მაყურებელიც ტაშით აცილებს დარბაზიდან. გასახდელში მოუთმენლად ელიან თანაგუნდელები, მხარზე ხელს უთათუნებენ და გამარჯვებას ულოცავენ, ისიც გახარებული შესძახებს — „ვივა კუბა“.

— თბილისში პირველად ვარ, მაგრამ ასე მგონია, დიდი ხანია ვიცნობ თქვენს ქალაქს. ბევრი სასიამოვნო მოგონება გამყვება თან. დარბაზიდან გამოსულს პატარა

ედი სუარესი.

ბიჭები შემომეხვივნენ და მომილოცეს. ენა არ მესმის, მაგრამ ვიგრძენი, ჩემთან ერთად რომ უხაროდათ. კრივს ბავშვობიდან მივდევ, ჯერჯერობით წარმატებით გამოვდივარ რინგზე...

რინგზე გამოსასვლელად ემზადება იუან ერნანდესი. ხელთათმანი მოირგო, მეგობრებს გაუღიმა და რინგზე ავიდა...

— იმოძრავე... ახლოს არ მოუშვა... მარჯვენა დაახვედრე — კარნახობენ ბიჭები. კიდევ ერთი დაძაბული ცხრა წუთი და კიდევ ერთი გამარჯვებული მაღლა აწეული ხელითა და ღიმილით სტოვებს დარბაზს. „ვივა კუბა“! — ისმის დარბაზში.

— ერთი ბრძოლა პირველ დღეს მოვიგე. პირველივე წუთებიდან უპირატესობა მოვიპოვე. იგორ ბუნინი მალე დაიღალა და მისი დამარცხება არ გამჭირვებია. მიხეილ ლეუ კი შედარებით ძლიერი აღმოჩნდა. მისი მუშტები მეც კარგა გვარიანად მომხვდა.

საერთაშორისო ტურნირში პირველად ვმონაწილეობ. მიხარია, რომ ზედიზედ ორი ბრძოლა მოვიგე...

თბილისში პირველად ჩამოვედი. არ მეგონა, ასეთი ლამაზი ქალაქი თუ იყო. ხალხიც საოცრად თბილი და კეთილია. გაივლი ქუჩაში და ყველა ფანჯრიდან მუსიკის ხმა გესმის. ზუსტად ისეა, როგორც ჩვენთან, კუბაში.

იმ დღეს კუბელებმა სამჯერ იზეიმეს გამარჯვება. მხოლოდ არმანდო მარინო და ედი სუარესი დამარცხდნენ. ბიჭები თავჩაქინდრულები გამოდიოდნენ დარბაზიდან, მაგრამ მეგობრები მაინც მხარზე ხელის დაკვრით ამხნევებდნენ.

პირველ დღეს სამი კუბელი გამოვიდა რინგზე, არმანდო ალფონსო გარსია, იუან ერნანდესი და ედი სუარესი. ედი შარშანაც ჩამოვიდა. მაშინ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა და მაყურებელზეც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. წელსაც მოხიბლა გულშემატკივრები — დამაჯერებლად დაამარცხა იგორ ლოსკუტერიავი. მეორეჯერაც ღიმილით ავიდა რინგზე. მწვრთნელმა და მაყურებლებმა გამარჯვება მიულოცეს და კუბელმა მოკრივემაც ხელი მაღლა ასწია, მაგრამ... მსაჯმა გამარჯვება მის მეტოქეს მიანიჭა. ედიმ დაბნეულმა დატოვა დარბაზი.

— ტურნირს გამოვეთიშე, მაგრამ მთავარი ეს არის, რომ მაყურებელთა მხარდაჭერა ვიგრძენი.

კუბელებმა უკვე დაამთავრეს გამოსვლა. მწვრთნელმა ყველას რაღაც ეჩურჩულა და დარბაზში დაბრუნდა. აი, ბოლო წყვილმაც დაამთავრა ბრძოლა... კუბელები ჩემს წინ მიდიან. ერთმანეთს რაღაცას ეუბნებიან, უმტკიცებენ. ხვალის გეგმებს თუ აწყობენ...

მანანა სოხელია.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საქართველოს სპორტსახკომში

ძალოსნობა: სტატისტიკა და რეალობა

(დასასრული)

რელი რჩება ბევრი პრობლემა, არ ინერგება მუშაობისა და მართვის, შეჯიბრებათა ჩატარების თანამედროვე ფორმები".

კოლეგიაზე გამოვლინდა ძალოსნობის განვითარებაში არსებული ბევრი სხვა ნაკლოვანებაც. ითქვა, რომ თვითდინებაზეა მიშვებული კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. წარმატებებზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან მწვრთნელები ძველისძველი მეთოდებით მუშაობენ. გაირკვა ისიც, რომ სპორტის ეს სახეობა ჩამორჩება მასობრიობის მხრივაც, აღრიცხვიანობა არ შეესაბამება სინამდვილეს და ა. შ. მაინც რა სურათს გვაძლევს სტატისტიკა?

ამონაწერი კოლეგიის დადგენილებიდან: „სტატისტიკის მიხედვით, რესპუბლიკაში ძალოსნობა დაინერგილია 31 ქალაქსა და რაიონში. მომეცადინეთა რაოდენობა — 5944. აქედან 121 პირველთანრიგოსანი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი და სპორტის ოსტატია, 1674-ს შესრულებული აქვს მასობრივი თანრიგების ნორმატივები. სულ რესპუბლიკაში მუშაობს 87 მწვრთნელი".

სტატისტიკა თითქოს ზუსტი უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მონაცემები, სამწუხაროდ, რეალურ სურათს არ ასახავს. კოლეგიაზე ითქვა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ძალოსნობა ფაქტიურად დანერგილია მხოლოდ 15 ქალაქსა და რაიონში. მომეცადინეთა რაოდენობა არ აღემატება 500-ს. სულ გვყავს 10 სპორტის ოსტატი, 30 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. ვფიქრობთ, კომენტარი საჭირო აღარ არის.

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ როგორც იტყვიან, ფაქტს ვერსად გავექცევით. შესამჩნევად შეტეცრდა ასპარეზობათა რიცხვი ძალოსნობაში, ჩატარებული შეჯიბრებების მონაწილეთა რაოდენობა კი 40-50 სპორტსმენს არ აღემატება. ან როგორ შეიძლება სპორტსმენთა მომზადების დონე და ხარისხი დამაკმაყოფილებელი იყოს, როცა მწვრთნელები ბევრგან შეთავსებით მუშაობენ (აფხაზეთი, აჭარა, სიჩხერე, წყალტუბო, ახალციხე, წალკა, თელავი და ა. შ.). „დინამომ", „შრომითმა რეზერვებმა" და „ბურევესტნიკმა" ფაქტიურად ხელი აიღეს თავიანთ კოლექტივებში ძალოსნობის განვითარებაზე. რაც შეეხება „კოლმეურნეს", „განთიადს", „სპარტაკს" და „ლოკომოტივს", ამ საზოგადოებებში ძალზე ცუდად მუშობენ მაღალი კლასის სპორტსმენთა მოსამზადებლად.

კოლეგიაზე ითქვა: „რესპუბლიკაში დღემდე არა გვაქვს ძალოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლა. ჭიანურდება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება. ადგილებზე, განსაკუთრებით სოფლად, არ არის შესაფერისი ბაზები. ამასთან, სრულად, ეფექტიანად ვერ იყენებენ არსებულ ბაზებს. საერთოდ უყურადღებოდ რჩება ძალოსნობის ახალი სპორტული დარბაზების შენებლობისა და არსებულის კეთილმოწყობის საკითხები. კოლექტივებში არც ბაზები აქვთ, არც ინვენტარი. იგივე ითქმის სპორტულ ფორმაზე. მწვრთნელები მეეჩვიენ უპასუხისმგებლობას, შეეჩვიენ იმას, რომ იმუშაონ უშედეგოდ და მიიღონ ხელფასი. დრო მიდის, სპეციალისტები კი ერთსა და იმავე პრობლემებს იმეორებენ და „იმართლენ" თავს".

ინფორმაცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად დადგენილებაში ჩაწერა: „უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 2 რესპუბლიკური სკოლაში იკლო მსმენელთა რიცხვმა. სისტემატური დაბალი შედეგების გამო ჩვენი რესპუბლიკის ძალოსნები საკავშირო შეჯიბრებათა „ბ" ჯგუფში გადაიყვანეს". კოლეგიამ ამჯერადაც გაამახვილა ყურადღება IX საკავშირო სპარტაკიადისათვის ჩვენი ძალოსნების მომზადებაში დაშვებულ სერიოზულ შეცდომებზე. მკითხველებს შევახსენებთ, რომ დაგეგმილი X ადგილის ნაცვლად ჩვენმა გუნდმა სპარტაკიადაზე XII ადგილი დაიკავა. სასპარტაკიადო ფიცარნაგზე გამოვიდა 7 ათლეტი (ნაცვლად ათისა), აქედან მხოლოდ ერთი იყო სპორტის ოსტატი (ა. ტოსოევი). დაგეგმილი ნორმატივიც მხოლოდ ერთმა — იმავე ტოსოევმა შეასრულა. ეს ლაფსუსები პირდაპირ უკავშირდება ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს (უფროსი მწვრთნელი შ. წერეთელი) მოუქნელ მუშაობას.

სპორტსახკომის კოლეგიამ შ. წერეთელი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. მწვრთნელებს ა. ჯიტაძეს და ი. გრიქუროვს გამოეცხადათ საყვედური. ცნობად იქნა მიღებული, რომ სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი (ვ. სვეტილკო) შეიცვალა.

კოლეგიამ მიიღო ვრცელი დადგენილება, რომლის ხორცშესხმაც უზრუნველყოფს რესპუბლიკაში ძალოსნობის შემდგომ განვითარებას.

დიდი მისია და ამოცანები

დასასრული

— საქართველოს სპორტსახკომს ბევრი საინტერესო გეგმა აქვს დასახული. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პერსპექტიული ახალგაზრდების, ტალანტების ყოველმხრივი, კომპლექსური შესწავლა, იმ მიზნით, რომ არც ერთი მათგანი არ დაიკარგოს. ეს დიდი და შრომატევადი საქმეა. მას უნარიანი გაძღოლა ჭირდება.

● **როგორ გესახებათ რეზერვების ამოქმედების გზები?**

— უმაღლესი სპორტული ოსტატობის ერთ-ერთი მთავარი შემფასებელი ოლიმპიური თამაშებია, ამიტომ ჩვენ საგანგებო ყურადღებას დავუთმობთ ოლიმპიელთა მომზადებას. მათთან მუშაობის მეთოდებს უფრო ღრმად, საფუძვლიანად შევისწავლით და დავხვეწთ, შესაბამის განყოფილებებთან კონტაქტში მტკიცე კონტროლს დავწესებთ მათ დაოსტატება-სრულყოფაზე.

● **რა აზრისა ხართ სპორტში პროგნოზირებაზე?**

— ზუსტი, შეუცდომელი და, რაც მთავარია, ობიექტური პროგნოზირება წარმატების ერთ-ერთ საფუძვლად მიმაჩნია. ამ მიმართულებით დიდი მუშაობის ჩატარება გვაქვს განზრახული. პირველ ყოვლისა, სპორტის ცალკეულ სახეობებში ასაკის მიხედვით ათ-ათი საუკეთესო უნდა გამოვავლინოთ. ეს ზუსტ წარმოდგენას შეგვიქმნის ოსტატობის ზრდის ტემპებზე და საკავშირო სტანდარტებთან მათი შეჯიბრების საშუალებას მოგვცემს.

● **კიდევ რა პრობლემების გადაჭრას აპირებთ?**

— პრობლემები ბევრი გვექნება, მაგრამ ნაწილს თავად მუშაობის პროცესი წარმოგვიჩენს. გადაწყვეტილი გვაქვს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მათი ატესტაცია პრინციპულ დონეზე ჩავატაროთ, არ უნდა მოხდეს, რომ სპორტსმენმა თავისი მომზადების დონით მწვრთნელს გაუსწროს. მწვრთნელი, რომელიც თვითონ არ იზრდება, მაღალი კლასის სპორტსმენს ვერ აღზრდის.

● **თქვენს ხამმართველოს მართლაც დიდი მიხეა აკისრია. წარმატებას გისურვებთ საქმიანობაში.**

— მადლობას მოგახსენებთ, ვეცდებით ნდობა გავამართლოთ.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

ანატოლი სლივკოვი

დასასრული

დალი და გუნდური მესამე ადგილი. ეს უბრალო წარმატება კი არა ჭეშმარიტად გმირობა იყო.

ანატოლისთვის ოთხეულის გამარჯვება ორმაგად სასიხარულო იყო — აქ ხომ მისი შვილი ოლეგიც გამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ შვილს სწორედ ის ადგილი ეკავა, რომელზეც მამა იდგა 1972 წელს, როცა მან ჯგუფურ ვარჯიშში თენგიზ ლომმთაძესთან, ალექსანდრე თედეევთან და სლავა დელბატოვთან ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოპოვა (ორი წლით ადრე მათ საკავშირო თასი დაისაკუთრეს. იქნებ მეტისთვისაც მიეღწიათ, მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ არ ტარდებოდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები).

— ანატოლი, ის პერიოდი, როცა თქვენ უფროს მწვრთნელად მუშაობთ, ყველაზე ნაყოფიერია ჩვენი რესპუბლიკის აკრობატიკის ისტორიაში. ჩვენმა აკრობატებმა თითქმის ყველა სინჯის მედალი მოიპოვეს. რამ გამოიწვია ასეთი აღმასვლა?

— ეს აკრობატთა რესპუბლიკური სკოლის მეგობრული კოლექტივის დამსახურებაა. ამ სკოლაში მარტო აკრობატიკაში, ხუთი მსოფლიო ჩემპიონი გაიზარდა.

— მომავალში თუ შეგვიძლია უკეთეს შედეგებზე ვიფიქროთ?

— ფიქრს და ოცნებას ვინ დაგვიშლის, მაგრამ, ჩემის აზრით, მომავალში მიღწეული პოზიციების განმტკიცებაც კი გაგვიჭირდება, თუ სავარჯიშო პირობები არ გავიუმჯობესეთ. საქმე ისაა, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის აკრობატებმა, რომელთაც დღემდე საპრიზო ადგილის მეტოქედ არავინ მიიჩნევდა, საკმაოდ სერიოზული განაცხადი გააკეთეს. ამ ქალაქებში აკრობატიკის სპეციალიზებული სკოლები აშენდა. სპორტის ამ სახეობაში მათი შესამჩნევი წინსვლა იმან გამოიწვია, რომ აკრობატიკა ოლიმპიურ სახეობად იქცა. მათ კვალიფიციური მწვრთნელებიც ჰყავთ. დღეს კი ჯარგი მწვრთნელი და სავარჯიშო პირობები ძალიან ბევრს ნიშნავს.

გამოცდილი მწვრთნელის ამ სიტყვებში გულისტკივილიც იგრძნობოდა და ზრუნვაც, ზრუნვა ჩვენი აკრობატიკის ხვალინდელ დღეზე.

ჯემალ კასრაძე.

სლავნიჩი ერაყში

ცნობილი იუგოსლავიელი კალათბურთელი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ზორან სლავნიჩი, როგორც უცხოეთის პრესა იტყობინება, ერაყის ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა. იგი ამ ქვეყნის ნაკრებს არაბული ქვეყნების VIII თამაშებისთვის და აზიის კონტინენტის X ჩემპიონატისთვის მოამზადებს.

ევროპის ჩემპიონატი

V ჯგუფი

კიპროსისა და ჰოლანდიის გუნდების შეხვედრით დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის წლევანდელი შესარჩევი ციკლი. კიპროსელებმა ლიმასოლში მიიღეს ჰოლანდიის ნაკრები, მატჩი დამთავრდა ჰოლანდიელთა გამარჯვებით — 2:0, ბურთები გაიტანეს გულიტმა და ბოსმანმა.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჰოლანდია	3	2	1	0	3-0	5
საბერძნეთი	3	2	0	1	7-5	4
პოლონეთი	2	1	1	0	2-1	3
უნგრეთი	2	0	0	2	1-3	0
კიპროსი	2	0	0	2	2-6	0

ოლიმპიური ტურნირი

დამთავრდა ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის წლევანდელი თამაშები — „ც" საკვალიფიკაციო ჯგუფში, სადაც საბჭოთა ფეხბურთელებიც გამოდიან. თურქეთისა და შვეიცარიის გუნდების შეხვედრა მოიგეს თურქეთის ფეხბურთელებმა — 3:2.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
თურქეთი	1	1	0	0	3-2	2
შვეიცარია	2	1	0	1	3-3	2
სსრ კავშირი	1	0	1	0	0-0	1
ნორვეგია	2	0	1	1	0-1	1
ბულგარეთი	0	0	0	0	0-0	0

ფეხბურთი

24 იანვრის მოლოდინში

10 დეკემბერს ჩატარდა ფეხბურთში უეფა-ს თასის მერვედფინალის სასასუხო მატჩები, მაგრამ ამ დღეს მილანში არ დამთავრდა თამაში ადგილობრივ „ინტერსა" და ჩეხოსლოვაკიის „დუკლას" შორის. ანგარიში იყო 1:0 „ინტერის" სასარგებლოდ, მაგრამ ჩამოწვა ნისლი და მსაჯი იძულებული იყო 78-ე წუთზე თამაში შეეწყვიტა.

უეფა-ს გადაწყვეტილებით ეს მატჩი გაიმართა 17 დეკემბერს. წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0 და რადგან „ინტერს" მერვედფინალის პირველი მატჩი ანგარიშით 1:0 ჰქონდა მოგებული, მეოთხედფინალშიც იგი გავიდა.

ამრიგად, გამოვლინდა ფეხბურთში ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის მეოთხედფინალური ეტაპის ყველა მონაწილე, შეგახსენებთ:

ჩემპიონთა თასი: „დინამო" (კიევი, სსრ კავშირი), „ანდერლეხტი" (ბელგია), „ბაიერნი" (გფრ), „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი), „ცვენა ზვეზდა" (იუგოსლავია), „პორტო" (პორტუგალია), „ბრონდბიუ" (დანია), „ბეშიქთაში" (თურქეთი).

თასების თასი: „ტორპედო" (მოსკოვი, სსრ კავშირი), „აიაქსი" (ჰოლანდია), „ბორდო" (საფრანგეთი), „სიონი" (შვეიცარია), „მალმიო" (შვეცია), „სარაგოსა" (ესპანეთი), „ვიტოშა" (ბულგარეთი), „ლოკომოტივი" (ლაიფციგი, გდრ).

უეფა-ს თასი. „ბარსელონა" (ესპანეთი), „გიმარაეში" (პორტუგალია), „ვეტებორგი" (შვეცია), „ბორუსია" (გფრ), „დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია), „სვარაჯსკი-ტიროლი" (ავსტრია), „ტორინო" (იტალია), „ინტერი" (იტალია).

მეოთხედფინალური წყვილების წილისყრა 24 იანვარს გაიმართება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ერთი ალკოჰოლისტის აღსარება

„მე ვარ ჯიმი გრივსი, პროფესიონალი ფეხბურთელი და ალკოჰოლიკი" ვკითხულობთ ბრიტანული ფეხბურთის ამ დიდი ოსტატის წიგნში და ვრწმუნდებით, როგორი დიდი ტალანტი იმსხვერპლა სპორტსმენების დაუძინებელმა მტერმა — სასმელმა.

გრივსი წერს, რომ თავის სიცოცხლეში პირველად 18 წლისა, თავისი ქორწილის დღეს დათვრა, 1959-1961 წლებში იგი ლონდონის „ჩელსიში" თამაშობდა, უკვე ჩინებული რეპუტაცია ჰქონდა, მაგრამ... ხშირად სვამდა. ბოლოს, ისე შეეჩვია ალკოჰოლს, რომ აშკარად უარესად დაიწყო თამაში. გრივსს სპორტული წარმატებაც სურდა და ვერც სასმელს ელეოდა. მათი შეთავსება რომ არ შეიძლებოდა, ამაში სულ მალე დარწმუნდა. თუმცა ჯერ კიდევ უამრავი გოლი გაჰქონდა და ინგლისის ნაკრებისთვის თავს შეუცვლელად თვლიდა. ერთ მშვენიერ დღეს მწვრთნელმა ალფ რამსეიმ, რომელსაც ლონდონელ სახელს ვერც კი გააგონებ, შემცვლელი გამოუნახა — ჯეფრი ჰერსტი. მას შემდეგ დაიწყო გრივსის სრული გადაგვარება. მას ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურთან" ცხრაწლიანი (!) ხელშეკრულება ჰქონდა, როცა ცნობილმა მწვრთნელმა ბრაიან კლაფმა „დერბი ქაუნთიში" მიიწვია, მაგრამ უკვე გალოთებული გრივსი მიხვდა, რომ ვერ შეძლებდა ამ გუნდში თამაშს.

„ფეხბურთისადმი ინტერესს ვკარგავდი... ერთადერთი, რაც მე კიდევ მაინტერესებდა, სასმელი იყო... ყველა ფეხბურთელს, ვისაც ეს უკეთური საქმე იზიდავს ვაფრთხილებ, გაითვალისწინოს ჩემი სამწუხარო მაგალითი, ჩემი ალკოჰოლით თვითმკვლელობა".

სპორტს მაინც არ ჩამოსცილდა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო ფიგურისტი იან ჰოფმანი ყინულის სარბიელზე ბრუნდება, მაგრამ 31 წლის ექსპერიმენტი ტურნირებში არ გამოვა. იგი მონაწილეობას მიიღებს ფიგურისტთა სპექტაკლში, რომლის ჩატარებას ეროვნული ფედერაცია მომავალი წლის მაისში აპირებს. წარმოდგენა ბერლინის 750 წლისთავის ზეიმს მიეძღვნება.

ჰოფმანი ამჟამად დიპლომიანი ექიმია და სამედიცინო აკადემიის დრეზდენის ფილიალში მუშაობს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სტაჟირებას მოსკოვის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრალურ ინსტიტუტში გადიოდა. ჩვენს ქვეყანაში გატარებულ დღეებს იგი დიდი სითბოთი იგონებს.

მსოფლიოს ექსჩემპიონი საყვარელ სპორტს არც ამ პერიოდში ჩამოსცილებია. მას, როგორც კვალიფიციურ და ავტორიტეტულ სპეციალისტს, ზშირად იწვევდნენ საერთაშორისო ტურნირების მსაჯად. შარშან ჰოფმანს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭეს.

ეკრანზე...

ცენტრალური ტელევიზია. 24 დეკემბერი. დილის ტანვარჯიში— **9.00 (2);** კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი: „ჟალგირისი" (კაუნასი) — ცსკა — **21.20 (2);** კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი: „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ადის" (აბოვიანი) — **23.45 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 24 დეკემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო" (თბილისი) — რტი (მინსკი) — **23.10.**

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„შერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07787